აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გარე სივრცის კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად მოწყობის შესახებ, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2028 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, რათა ბავშვებს ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (მუნიციპალიტეტის მერია/გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026) მეხუთე მუხლის თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა): 1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს; 2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს; 3. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს; 4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტიური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს; 5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას; 6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად; 7. დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდება დამტკიცებული წესის შესაბამისად, კერძოდ, საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვროს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების დირექტორის მიერ საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის ბრძანებით დამტკიცების შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას და დაამტკიცებს საგანმანათლებლო რესურსების მინიმალურ ნუსხას), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბალის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-ბრძანება N 858. 52260403. 09.02.2026), აღნიშნული დოკუმენტის მეხუთე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა) მეხუთე პუნქტის თანახმად, დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულები მიერ შერჩეულ კურიკულუმს; მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში.

დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026) თანახმად ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში წარმოდგენილია ძირითადად ხელოვნური, ქარხნული, პლასტმასის, ბუნებრივი და მეორადი რესურსი/მასალა.

ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია: ბალის 2025 წლის „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“, რომელშიც ასევე აღნიშნულია სათამაშოების ჩამონათვალი; საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტი (2025 წლის დეკემბერი); წარმოდგენილი იქნა ასევე სათამაშოების მიღება-ჩაბარების აქტი თარიღების გარეშე; 2026 წლის სათამაშოების ჩამონათვალის ჟურნალი, სადაც მითითებული არ არის სათამაშოს რაოდენობა. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი არ არის დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოს მისი შექმნა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შექმნის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება შექმნის საგანმანათლებლო რესურსების მინიმალურ ნუსხას კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსების შექმნას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბალის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. რესურსების უმრავლესობა ქარხნულია, არის ასევე მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი მასალები, რომლებიც განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ჯგუფებში წარმოდგენილია სივრცე ბავშვების ნამუშევრებისთვის. ჯგუფის ოთახებში არ არის განთავსებული ვიზუალური დღის განრიგი, ცენტრის მინიშნებები არის მხოლოდ წარწერები, ცენტრებთან არ არის ვიზუალური მიმანიშნებლები; ჯგუფის ოთახების კედელზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა; თუმცა არ აქვს სამიზნე აუდიტორიის მიმანიშნებელი წარწერა; ბაღს არ აქვს დარბაზი; ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ არ არის გამოყოფილი ერთმანეთისგან (სამი მხრიდან); ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას ხშირ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ბავშვის სიმაღლე (მაღალა არის განთავსებული); ჯგუფში არ არის პრივატული/განმარტოების სივრცე. გარე სივრცეში/ეზოში განთავსებული კონსტრუქციები (რკინის საქანელები, სასრილოები, გრძელი სკამები) და სახლები დაზიანებულია და საფრთხეს წარმოადგენს ბავშვებისათვის. ეზოში არ არის მაგიდები, სკამები, ბალანსის მოწყობილობა; საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი: არ აქვთ სივრცე სენსორული, დრამატული თამაშებისათვის, შენობა/კარავი, მაგიდა, სკამები, ბოსტანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა და გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად: გარემოს მარტივად აღქმის მიზნით, ჯგუფურ ოთახებში განთავსებული იყოს ვიზუალური დღის განრიგი, ცენტრების ვიზუალური მინიშნებები შესაბამისი წარწერით; გარე სივრცე/ეზო დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, სენსორული, დრამატული სივრცე.

რჩევა

სასურველია, დაწესებულების შიდა და გარე სივრცე ითვალისწინებდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რაც ითვალისწინებს გარემოს თანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის; გარემოში მრავალფეროვანი სივრცეების მოწყობა და მრავალფეროვანი მასალით მომარაგება უზრუნველყოფს ბავშვის მონაწილეობას მათი ინტერესების და განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად. გარემო

მარტივად აღქმადია და მინიმუმამდეა დაყვანილი შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რაც გულისხმობს შემდეგი დეტალების გათვალისწინებას: ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები მკაფიოდ იყოს გამოყოფილი ერთმანეთისგან (სამი მხრიდან); ცენტრების მიმანიშნებლები ვიზუალურია შესაბამისი წარწერით; ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის სიმაღლე; ცენტრების მოწყობა, შეესაბამებოდეს კურიკულუმის მოთხოვნებს (მაგ. განმარტოების სივცეში მოეწყოს არაუმეტეს 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი პრივატული ზონა, რომელიც იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი რბილი ავეჯით: რბილი იატაკით, ბალიშებით, პუფებით, შესაბამისი განათებით. რბილი ავეჯი ამცირებს ხმაურის შეგრძნებას და ბავშვს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება დასვენების, გარკვეული დროის პერიოდში განერიდოს ჯგუფის ხმაურს); გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საჭივში, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების ჯგუფისა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2028 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს შიდა და გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად. გარემოს მარტივად აღქმის მიზნით ჯგუფურ ოთახებში განთავსდება ვიზუალური დღის განრიგი და ცენტრების ვიზუალური მიანიშნებები შესაბამისი წარწერებით. გარე სივრცე/ეზო დაიყოფა სათამაშო სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცედ, სენსორულ და დრამატულ სივრცედ), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (მუნიციპალიტეტის მერია/გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახუროდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც ცენტრების მიხედვით არის ორგანიზებული; რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე, თუმცა ხშირ შემთხვევებში ჯგუფური ოთახების კედლებზე თვალსაჩინოების განთავსებისას არ იყო გათვალისწინებული ბავშვების სიმაღლე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

წარმოდგენილი კონსტრუქციები (რკინის საქანელები, სასრიალოები, გრძელი სკამები) და სახლები დაზიანებულია, საფრთხეს წარმოადგენს და აღნიშნული მიზეზის გამო არ არის ხელმისაწვდომი ბავშვებისათვის. ეზოში არ არის მაგიდები, ბალანსის მოწყობილობა; საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი; ეზოში განთავსებული საგანმანათლებლო რესურსი არასაკმარისია და არ არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შერჩეული კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოს გარე სივრცის/ეზოს დაყოფა სათამაშო სივრცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების გარე სივრცის რესურსით აღჭურვის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2028 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის დაყოფას სათამაშო სივრცეებად და შესაბამისი რესურსების ორგანიზებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (მუნიციპალიტეტის მერია/გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტობის შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩით, ბალიშებითა და პუფებით, სადაც ბავშვებს დასვენების საშუალება ექნებათ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026) მერვე მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა; დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩეკლისტები; დ) სკალები; შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

ამავე დოკუმენტის დანართის სახით წარმოდგენილია მხოლოდ ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი N1). დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 58. 52260923. 02.04.2026), აღნიშნულ ბრძანებას დანართის სახით თან ახლავს მხოლოდ ბავშვის შეფასების ფორმა, დოკუმენტს დანართის სახით არ ახლავს ბავშვის დაკვირვების ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმები წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დანართების სახით და დამტკიცებულ იქნას გაერთიანების დირექტორის მიერ ამავე წესის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება N58. 5226034001. 03.02.2026) მერვე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი.

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026) თანახმად თანახმად შეფასების პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც; ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს, დ) საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026) მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მეშვიდე პუნქტის თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის (ბავშვის პროგრესის

შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N4 - ა.ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 27.10.2025 წლის №58.5225300001 ბრძანება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ დამტკიცების შესახებ
2. დანართი N4 - ა.ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 30.12.2019 წლის N147 ბრძანება განათლების სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაშის“ დამტკიცების შესახებ
3. დანართი N5 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5 №58. 52260302. 30.01.2026.).
4. დანართი N21 - ბრძანება კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება N58. 5226092001. 02.04.2026)
5. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება №58. 52260303. 30/01.2026).
6. ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №58.52260922. 02.04.2026).
7. ქალაქ საგარეჯოს N 2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება №58.52260922. 02.04.2026).
8. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება №58. 5226034001. 03.02.2026)

9. დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-ბრძანება N 58. 52260403. 09.02.2026),

10. ინვენტარიზაციის დოკუმენტი (25.01.2025);

11. საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტი გაერთიანებაში შემავალი ბაღების მიხედვით (12.2025);

12. სათამაშოების აღრიცხვის ჟურნალი 2026 წელი

13. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).

14. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება N58. 5226034001. 03.02.2026) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს: ა) პროცესის დაგეგმვა; ბ) განხორციელებული აქტივობები; გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა; დ) ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება; ე) ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი; ვ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება). პროცესის შეფასება განხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად წელიწადში ერთხელ გაანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, შეფასების გუნდი განისზღვრება ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nზ58. 5226034001. 03.02.2026) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომში განვითარება) მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი; ანგარიში მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სიტუაციის აღწერას, გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და რეკომენდაციებს; ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური (გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან), ისე შინაარსობრივი (აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.) ცვლილება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026)
2. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება N858. 52260303. 30/01.2026).
3. ქალაქ საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N858.52260922. 02.04.2026).
4. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება N858. 52260303. 30/01.2026), აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ

საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, შეიმუშავებს საკომუნიკაციო გეგმას. დაწესებულებამ წარმოდგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 58. 52260922. 02.04.2026) თანდართული დანართის შაბლონით (დანართი N1), რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, ღონისძიების შინაარსი, აქტივობების განხორციელების პერიოდი (თვეები) და პასუხისმგებელი პირები. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა წესი, მაგალითად, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები (ღია კარის დღის ორგანიზება; ფიზიკური გარემოს მოწყობა კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობა; მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება; კურიკულუმის გაცნობა დაწესებულების პერსონალისთვის; ახალი სეზონური მენიუს გაცნობა; მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების გაზიარება; დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სიმულაციური სწავლება; მშობელთა საკონლუსტაციო საბჭოს შექმნა; მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა; ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის განხილვა; თემის რესურსის მოძიება გასვლითი აქტივობების დაგეგმვის მიზნით; ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; გაერთიანების მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო რესურსის სივრცეებში გადანაწილება; სამოქმედო გეგმის გაცნობა დაწესებულების პერსონალისთვის; სოპ-ების გაცნობა; თანამშრომლებითვის პირადი ჰიგიენისა და ქცევის წესების, სურსათის ტემპერატურული რეჟიმების დაცვის, სურსათის შენახვის დროს და საფრთხის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების მიმოხილა; წლიური ანგარიშის პრეზენტაცია), თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების თარიღები არ შეესაბამება გაერთიანების დირექტორის მიერ საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების თარიღს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ დაგეგმოს აქტივობები მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად და თანხვედრაში მოიყვანოს საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცებისა და წინასწარ გაწერილი ღონისძიებების თარიღები.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების თარიღებისა და გაერთიანების დირექტორის მიერ საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების თარიღის თანხვედრაში მოყვანის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ დაგეგმავს აქტივობებს მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად და უზრუნველყოფს საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცებისა და წინასწარ გაწერილი ღონისძიებების თარიღების თანხვედრას), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბადის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბადის მენეჯერი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება N858. 52260303. 30/01.2026) და ბრძანება ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 858. 52260922. 02.04.2026), რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბადის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე

სივრცეში.

დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან.

დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, განსახორციელებელი აქტივობის დროის მოახლოებისას მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განმეორებით განათავსონ ინფორმაცია, წახალისების მიზნით დაწესებულების სივრცეში, თითოეულ ჯგუფთან მოწყობილი კუთხეში მშობელთათვის განთავსებულია „წინადადების ყუთი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება Nზ43.90260307. 30/01.2026), აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) საინფორმაციო დაფები; გ) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები (ფეისბუქი); დ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (ფეისბუქ გვერდის დახურული ჯგუფი მესენჯერი).

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები, საინფორმაციო კუთხეში განთავსებულია „წინადადების ყუთი“.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026)
2. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება N858. 52260303. 30/01.2026).
3. ქალაქ საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N858.52260922. 02.04.2026).
4. ინტერვიუს შედეგები
5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას



1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 58. 52260922. 02.04.2026), ასევე წარმოადგინა ქალაქ საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: (ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა-ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბავშვის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება N58. 5226034001. 03.02.2026), აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს გაუზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა მოხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს გაუზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება; მიიღებს უკუკავშირს და გაითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 58. 52260922. 02.04.2026), ასევე წარმოადგინა ქალაქ საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი აქტივობაა-თემის რესურსის მოძიება გასვლითი აქტივობების დაგეგმის მიზნით.

დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელებთან ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად (სკოლა, ბიბლიოთეკა, მარანი), რაც დასტურდება შესაბამისი ფოტომასალით (სკოლაში ვიზიტი, ბიბლიოთეკაში ვიზიტი, ექსკურსიები).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, თემში არსებული რესურსების გათვალისწინება დაიგეგმოს აღმზრდელის გრძელვადიან, წლიურ გეგმებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5 №858. 52260302. 30.01.2026.), რომლის თანახმად, კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; დ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; ე) ფიზიკური გარემოს გადაწყობა/გამრავალფეროვნებას; ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას; კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა. თემის ცვლილება და კორექტირება კურიკულუმში ხდება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და ჩანს აღმზრდელ-პერაგოგის/აღმზრდელის რეფლექსურ ჩანაწერებში.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება N858. 5226034001. 03.02.2026)
2. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება N858. 52260303. 30/01.2026).
3. ქალაქ საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N858.52260922. 02.04.2026).
4. ინტერვიუს შედეგები



5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით (11.02.2026 წლის N ბ.58.5226042001).

დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საერთო საშტატო ნუსხა (20.01.2026 - ბ.52. 522602019), რომელსაც თან ერთვის კონკრეტულად საგარეჯოს N2 სკოლამდელი დაწესებულების საშტატო ნუსხაც (ჯამში დაკომპლექტებული 32 თანამშრომლით). საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში. დაწესებულებას ჰყავს:

მენეჯერი - 1;

აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი - 7;

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).



- ლოგოპედი - 1;
- ფსიქოლოგი - 2;
- დამლაგებელი - 3;
- აღმზრდელის თანაშემწე - 7;
- მზარეულის თანაშემწე - 2;
- მუსიკ.მასწავლებელი - 2;
- დარაჯი - 2;
- მეთოდისტი - 1;
- მედა - 1;
- პერსონალური დამხმარე - 2.

დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს 6 ჯგუფი: (2-3 წელი - 1; 3-4 წელი - 3; 4-5 წელი - 1; 5-6 – 1). აღსანიშნავია, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის 22-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაძლებელია 2-დან 3 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაქსიმუმ 25 ბავშვის, ხოლო 3-დან ზევით - მაქსიმუმ 30 ბავშვის განთავსება. ასევე, 2-დან 3 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი, ხოლო 3 წლიდან ზემოთ 1:15-ზე მეტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, და დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობიდან (7) გათვალისწინებით, რეკომენდებული ბავშვთა ზღვრული რაოდენობა არის 103.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ ბრძანებით (11.02.2026 წლის N ბ.58.5226042001) დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს“ დანართად #1-თან ერთად საშუალო აღწერილობები და ზოგიერთ შემთხვევაში ჩანაწერში დამატებით იკითხება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც გაწერილია პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (უფლება-მოვალეობები).

დანართში წარმოდგენილია იმ პირის უფლება-მოვალეობები, ვინც განსაზღვრულია დამოწმებულ სამტატო ნუსხაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ 15.04.2016 წელს (N131). შინაგანაწესში დამატებით გაწერილია თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, ასევე მათი წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N34 (27 აპრილი, 2018 წელი).
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ განახლოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პირების ფუნქციები და გაითვალისწინოს, რომ თავმოყრილი იყოს რომელიმე ერთ, დადგენილ დოკუმენტში. დაწესებულების შინაგანაწესში, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და გაერთიანების მიერ დამტკიცებულ, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N34 (27 აპრილი, 2018 წელი). აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აღმზრდელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს: ა) უმაღლესი აკადემიური განათლება; ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლების აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ-მოდული. გასათვალისწინებელია, რომ ნაწილობრივ აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაცია დადგენილი აღმზრდელისთვისაც, რაც ისედაც დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის N478- ე დადგენილებით „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტში“.

აღნიშნულ დოკუმენტში, გარდა საგანმანათლებლო პერსონალისა, განსაზღვრულია სხვა დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც:

მაგ. მუხლი 11- ში განსაზღვრულია ინკლუზიური მხარდამჭერი პერსონალის პროფესიული სტანდარტები, სადაც მითითებულია, რომ ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს უნდა ჰქონდეს აკადემიური უმაღლესი განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამისად. ამავე დროს, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის - (11.02.2026 – N 858. 5226042001) დანართის მუხლი N12 -ში “ფსიქოლოგი” - აღნიშნულია, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური ან პედაგოგიური უმაღლესი განათლება, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილ შნაგანაწესში (მუხლი 7.12.) აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი განათლება. ეს ორი მუხლი გარკვეულწილად მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.

გარდა ამისა, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში - (11.02.2026 – N 858. 5226042001), მუხლი N17. პერსონალის კვალიფიკაცია, სადაც დამატებით აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხნისა ან გაქარწყლებისა. ასევე, საქართველოს კანონში ადრეული განათლების შესახებ - მუხლი 18¹ - განმარტებულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხნისა ან გაქარწყლებისა.

თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ:

1. 4 თანამშრომელს აქვს უმაღლესი განათლება/ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ასევე, გავლილი აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული. მათ გაერთიანების მიერ მინიჭებული აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი.
2. არცერთ თანამშრომელს არ აქვს პირად საქმეში წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ცნობა;
3. საშტატო ნუსხაში განსაზღვრულია ორი ფსიქოლოგი, ხოლო აქედან მხოლოდ ერთ აქვს დამთავრებული პუშკინის სახ. სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სპეციალობით: პედაგოგიკა და ფსიქოლოგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების შერჩევა და დანიშვნა. გადახედოს შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დარწმუნდეს, რომ მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გაწერილია სამ სხვადასხვა დოკუმენტში, არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებისას იხელმძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით, მათ შორის საქართველოს მთავრობის N478-ე დადგენილებაში განსაზღვრული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით.

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს კანონში ადრეული განათლების შესახებ - მუხლი 18¹ -ით, სადაც განმარტებულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის

შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხნისა ან გაქარწყლებისა. აღნიშნული ცნობები მოატანიოს დასაქმებულებს და წარმოადგინოს მათ პირად საქმეში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი კადრების შერჩევასა და აყვანას. გადახედავს შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს, რომ სამ სხვადასხვა დოკუმენტში გაწერილი მოთხოვნები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს. შემუშავებისას იხელმძღვანელებს საქართველოს კანონით ადრეული განათლებისა და აღზრდის შესახებ, ასევე აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. ასევე, შესაბამისობის გეგმაში გაწერილია თანამშრომლეთა პირად საქმეებში „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის, მიუხედავად ნასამართლეობის მოხნისა ან გაქარწყლებისა ცნობების წარმოდგენა. ვადები - 2026 წლის ივნისი-2026 წლის დეკემბერი (ვადა 7 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგის დამადასტურებელი ორი (2 აღმზრდელი, 2 აღმზრდელის თანაშემწე) სერტიფიკატი. ტრენინგი არ აქვს გავლილი საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ყველა პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგში მონაწილეობა და შეძლოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დადასტურება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის გავლას და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დადასტურებას.

აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (დამტკიცებული 11.02.2026 წლის N ბ.58.5226042001). დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

პერსონალის მართვის კონკრეტული პრაქტიკა არ შემოწმებულა პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, თუმცა დოკუმენტში პერსონალის მართვის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 21. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტები -

1. დაწესებულებასა და თანამშრომელს შორის შრომითი ურთიერთობა წესრიგდება:

ა) წინამდებარე დოკუმენტით:

ბ) მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით;

გ) შრომის შინაგანაწესით.

2. მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ, შრომითი ხელშეკრულების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს.

განსაზღვრავს მხარეთა შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებებს, რომელიც ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით და შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსს“. გაერთიანებაში და არც კონკრეტულად დაწესებულებაში არც ერთ დასაქმებულთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შინაგანაწესი (დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ - 15.04.2016 N131). დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული განახლებული პროცესები, შინაარსი და ფაქტობრივი მოცემულობა რიგ შემთხვევაში აცდენილია ერთმანეთისგან.

მაგ.:

1. *მუხლი 4. შტატები ერთი ჯგუფისთვის* - აღნიშულია, რომ ჯგუფში განსაზღვრულია აღმზრდელის 1.0 შტატი, აღმზრდელის თანაშემწის 1.0 შტატი, ხოლო მუხლი 2-ში აღნიშულია, რომ ჯგუფში შესაძლოა იყოს 25 (უმცროს ჯგუფში) ან 30 (უფროს ჯგუფში) ბავშვი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთგვარი წინააღმდეგობაა აღმზრდელის, აღმზრდელ-პედაგოგის ბავშვებთან თანაფარდობასთან (1:13 და 1:15).
2. *მუხლი 6. სამუშაო დღის რეჟიმი და შვებულება* - სამუშაო დრო განსაზღვრულია დღის 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, სამჯერადი კვებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დღის განრიგში აღნიშულია, რომ სამუშაო დრო არის 17:00 საათამდე, ხოლო კვების ჯერადობა არის - ოთხი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში, ადრეული განათლების შესახებ, კერძოდ მუხლი 21 - განმარტებულია, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სასწავლო-სააღმზრდელო წლისა და დღის ხანგრძლივობა, რის მიხედვითაც დღის ხანგრძლივობაა 9 საათი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს მათ მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” მუხლი 21 - ით, შრომითი მომწესრიგებელი დოკუმენტები, მოქმედი კანონმდებლობით და “საქართველოს შრომის კოდექსით” და დასაქმებულებთან გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები. გადახედოს 2016 წელს დამტკიცებულ შინაგანაწესს, რეალური მოცემულობა და დამტკიცებული დოკუმენტები მოიყვანოს შესაბამისობაში. იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, გაითვალისწინოს აღმზრდელის შტატის განსაზღვრა, ბავშვებთან მათი თანაფარდობა და სასწავლო-სააღმზრდელო დრო. შეცვალოს დღის განრიგი კანონისა და მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: იხელმძღვანელებს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“, საქართველოს შრომის კოდექსით და დასაქმებულებთან გააფორმებს შრომით ხელშეკრულებებს. გადახედავს 2016 წელს დამტკიცებულ შინაგანწესს და რეალურ მოცემულობას და მოიყვანს შესაბამისობაში. იხელმძღვანელებს საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, გაითვალისწინებს აღმზრდელების შტატის განსაზღვრას და ბავშვებთან თანაფარდობას. ასევე შეცვლის დღის განრიგს კანიონისა და მიუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული შინაგანწესის მიხედვით.

აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება. ადგილზე არსებული დოკუმენტაციის შემოწმებისას, ასევე დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების წარმომადგენელთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღზრდელებს, დაწესებულებაში არსებულ არცერთ თანამშრომელთან საქმიანობის პროცესი არ არის დარეგულირებელი შრომითი ხელშეკრულებით. აღსანიშნავია, რომ ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში საგარეჯო N2 სკოლამდელ დაწესებულებას აღნიშნული აქვს, რომ არსებობს ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს.

დოკუმენტში „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (11/02.2026 №.58 5226042001) დეტალურადაა გაწერილი მუხლი 21. -ის მე-3 პუნქტში:

3. აღმზრდელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ასევე მოიცავს ანაზღაურებადი არასაკონტაქტო საათების შესახებ ჩანაწერს და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს დამტკიცებული დოკუმენტით - პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” და უზრუნველყოს დასაქმებულ თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო აღმზრდელ-პედაგოგთან და აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვროს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები.
რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: გააფორმებს აღმზრდელ-პედაგოგთან/აღმზრდელთან შრომით ხელშეკრულებებს და განსაზღვრავს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს, ასევე არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს. აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (11.02.2026, ბრძანება - N 858. 5226042001) და შინაგანაწესში (15.04.2016, დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბრძანებით N131) გაწერილი აქვს კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია: მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა.

1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:
 - 1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
 - 1.2. გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი აღმოჩნდა, რომ პრაქტიკით თანამშრომელთა აყვანა შესაძლოა ყოფილიყო პირდაპირი დანიშვნის გზით, თუმცა ახალი შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის დაცვით. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკა არ მოწმობდა აღნიშნული შეფასება ეყრდნობა გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს - „პერსონალის მართვის



მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის

დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. წესში გაწერილი აქვთ როგორც ღია კონკურსის პროცესი, ასევე პირდაპირი დანიშვნის შესაძლო ეტაპებიც.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტკიცებულია ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის №858. 5226042001 ბრძანებით).

მუხლი N18 – “ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია“. მუხლში განხილულია ადაპტაციის მექანიზმები, მათ შორის ახალი გუნდის, უსაფრთხოების წესების, დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა თუ სტრუქტურის გაცნობა, ასევე მენტორინგის სისტემის შესაძლებლობა და არსებობა.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგარეჯოს N2 ბაგა-ბაღში - გუნდურად მუშაობენ თანამშრომლები. ერთად განიხილავენ კურიკულუმს, გამოწვევებს, ტრენინგის შესახებაც ცვლიან ინფორმაციებს. აღნიშნავენ და ერთად ეცნობიან მიმდინარე სიახლეებს. აღნიშნული დასტურდება აღმზრდელებთან და ბაღის მენეჯერთან ინტერვიუებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, საჭიროებების მოკვლევასა და შედეგების გამოყენებას კადრების პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის. მენეჯერი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდულობით ცდილობენ გამოარკვიონ კადრების საჭიროებები, თუმცა ეს სტრუქტურული და თანმიმდევრული პროცესი არ არის. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მექანიზმი და/ან პერსონალის შეფასების კითხვარის შაბლონი. აღსანიშნავია, რომ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (თავი IV - მუხლი 19) დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდები: 1. კითხვარი; 2. მართვა მიზნების მიხედვით; 3. შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; 4. გასაუბრება. დოკუმენტში დაწესებულებას დარეგულირებული აქვს შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის ძირითადი ეტაპები: დაგეგმვა, განხორციელება; შედეგების ანალიზი. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, (მხოლოდ შევაფასეთ დაგეგმვის კომპონენტი) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კითხვარი, უშუალო ხელმძღვანელის შეფასების ფორმები, ან წლის განმავლობაში თანამშრომლებთან დაგეგმილი გასაუბრებების გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოს და შეიმუშავოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის სტრუქტურირებული პროცესი. აღნიშნული დარეგულირებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. დაწესებულებამ იხელმძღვანლოს აღნიშნული დოკუმენტით და შეიმუშავოს იქ განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტები: კითხვარი, შეფასების ფორმები, პერსონალთან გასაუბრების გეგმა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულებამ პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოფს და შეიმუშავებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის სტრუქტურირებული პროცესს. აღნიშნული დარეგულირდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. შეიმუშავებს იქ განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტებს: კითხვარი, შეფასების ფორმები, პერსონალთან გასაუბრების გეგმა.

აქტივობის დაწყების (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტკიცებულია ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის №858.5226042001 ბრძანებით) გაწერილია წახალისება და პერსონალის განვითარება (ზოგადი ფორმულირებით) და დარეგულირებულია მუხლით 20 „თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება“:

1. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.
2. დაწესებულება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:
 - ა) ტრენინგი;
 - ბ) თვითგანვითარება;
 - გ) კონსტრუქციული უკუკავშირი;
3. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.
4. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.
4. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:
 - ა) ფულადი ჯილდო.
 - ბ) მადლობის გამოცხადება,
 - გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნამიუხედავად ამისა, მუხლი 20.3. - ში ნახსენები პროფესიული განვითარების გეგმა დაწესებულებას ადგილზე არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. პერსონალის საჭიროებების მოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიმუშავოს განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: იხელმძღვანელებს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“. პერსონალის საჭიროებების მოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიმუშავენ განვითარების გეგმას, რომელიც დაეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს.

აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს მოიკვლევს და გაითვალისწინებს. მენეჯერთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ არაფორმალურად შესაძლოა იღებდნენ პერსონალის ინიციატივებს, თუმცა ეს პროცესი არ არის თანმიმდევრული და ორგანიზებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გათვალისწინებისთვის შეიმუშაოს გეგმა და ხელი შეუწყოს, მათი ინიციატივების შესაბამისად, პროფესიულ განვითარებას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულებამ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გათვალისწინებისთვის შეიმუშავენ გეგმას და ხელს შეუწყობს, მათი ინიციატივების შესაბამისად, პროფესიულ განვითარებას.

აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძანება 11.02.2026. N ბ.58.5226042001);
3. შინაგანაწესი (ბრძანება არასამეწარმეო საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესის შესახებ, 15.04.2016 N131);
4. დაწესებულების დღის განრიგი;
5. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საერთო საშტატო ნუსხა (20.01.2026 - ბ.52. 522602019); დანართი საგარეჯოს N2 სკოლამდელი დაწესებულების საშტატო ნუსხა.
6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N34, 27.04.2018 (საკვალიფიკაციო მოთხოვნები)
7. ინტერვიუ გაერთიანების ხელმძღვანელთან;
8. ინტერვიუ დაწესებულების მენეჯერთან.
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა - თარიღი: 04.06.2026

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები. აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“.

აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გერთიანების დირექტორის 2026 წლის 11.02 ბრძანებით (ბ. N 858. 52260424).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ მართვის პროცესების დოკუმენტში კონკრეტულად მიუთითოს დაწესებულების დასახელებაც, რადგან შესაძლოა გაერთიანების მიერ შემუშავებულ საერთო დოკუმენტში აღწერილი პროცესებისგან განსხვავებული საჭიროება დადგეს თავად დაწესებულებაში. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით - „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ (დამ. ბრ. N 858. 52260424, 11.02.2026) დასტურდება, რომ პროცესებს მართავს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ადგენს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ა(ა).ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში (შემდგომში - გაერთიანება) მიმდინარე პროცესების ჩამონათვალსა და მათ აღმწერებს, ასევე განსაზღვრავს აღნიშნული პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. დოკუმენტში აღწერილია:

- პროცესის სახე;
- პროცესის დასახელება;
- პროცესის მფლობელი;
- პროცესის შემადგენელი ეტაპები/ქვეპროცესები;
- პროცესის მარეგულირებელი წესი/მექანიზმი.

ყველა ჩამოთვლილ პროცესს თან ახლავს „გრაფა“ - მარეგულირებელი წესი/მექანიზმი, წესის დამტკიცების თარიღითა და ნუმერაციით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით (06.02 2026 წლის № ბ 58.5226037001). აღნიშნული წესით დარეგულირებულია ჩარიცხვა-ამორიცხვის ყველა ეტაპი და ფორმა. წესში განსაზღვრული დანართების შაბლონები ადგილზე წარმოადგინეს.

წესს თან ერთვის:

- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში (გაწერილია სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი);
- ბავშვის სარეგისტრაციო ბარათი;
- მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანის შესახებ და მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ფოტო-ვიდეო გადაღება/გამოქვეყნებაზე.

საგარეჯოს N2 სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ მშობელს ადგილზე აწერინებენ ბავშვის ბაღში მიღების განცხადებას. ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ხორციელდება მატერიალური ფორმით ადგილზე, განაცხადების მიღების გზით. განაცხადს მშობელი აკეთებს უშუალოდ დაწესებულებაში. მშობელი აწესრიგებს პირადი საქმისთვის საჭირო დოკუმენტაციას და აფორმებს ხელშეკრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მუხლი 22. თანამშრომელთა პირადი საქმეები

1. დაწესებულება აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- ბ) რეზიუმე;
- გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- თ) კვალიფიკაციის ამალეების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

ამავე დოკუმენტის მუხლი 22. 2 ქვეპუნტში აღნიშნულია, რომ პირად საქმეში არსებული დოკუმენტები დაცულია არასანქცირებული წვდომისაგან.

ასევე, ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში სტატუსის მაძიებელს გაწერილი აქვს ბავშვის პირადი საქმისთვის შემადგენელი საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი (მუხლი 5.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტის მიღმა, დამატებით წარმოადგინოს პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, განსაზღვროს მასზე პასუხისმგებელი პირი, გარდა ამისა, წესში გაითვალისწინოს პირად საქმეში წარმოსადგენი ცნობების პერიოდულობაც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. ბავშვების პირადი საქმეები - მხოლოდ არსებული შაბლონები;
4. ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (ბრძანება 06.02 2026 წლის № 58.5226037001);
5. წესის დანართები: მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში; ბავშვის სარეგისტრაციო ბარათი, მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანის შესახებ და მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ფოტო-ვიდეო გადაღება/გამოქვეყნებაზე;
5. „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ – (დამ. ბრ. N 58. 52260424, 11.02.2026);
6. ინტერვიუ გაერთიანების დირექტორთან და დაწესებულების მენეჯერთან.

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით (N 58. 52260405 – 09/02/2026) წესში გაწერილი აქვთ:

- პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი და პროცედურები.
- პირველადი დახმარების დეტალური ინსტრუქციები.

დაწესებულებაში არის სამედიცინო ოთახი, მედდა აღრიცხავს შემთხვევების ჟურნალს და პასუხისმგებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე.

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში 4.6.1. ინდიკატორზე აღნიშულია, რომ 17.02.2026-17.02.2027 ვადებში შეათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას უფლებამოსილ ორგანოსთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს შესაბამისობის გეგმის მიხედვით და 4.6.1. ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად, 17.02.2026-17.02.2027 ვადებში შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგონასთან.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ტერიტორიაზე მცენარეების აღწერა არ არის ჩატარებული კომპეტენტური პირის მიერ და შესაბამისად, ვერ წარმოდგინა აღწერის დოკუმენტი. არ არის წარმოდგენილი ცალკე მწვანე საფარის ინვენტარიზაციის დოკუმენტი და არ არის შემუშავებული, თეორიულად, საფრთხის შემცველი მცენარეების გაუვნებელყოფის პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ აღწეროს ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. აღნიშნული აღწერა ჩაატაროს კომპეტენტურმა პირმა. აღწერით დაადასტუროს, რომ არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს, ხოლო საფრთხის შემთხვევაში შეიმუშაოს გაუვნებელყოფის პროცედურები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება აღწერს ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებს და მათ მახასიათებლებს. აღნიშნულ აღწერას ჩაატარებს კომპეტენტური პირი. აღწერით დაადასტურებს, რომ არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს, ხოლო საფრთხის შემთხვევაში შეიმუშავებს გაუვნებელყოფის პროცედურებს.

აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა კურიკულუმის ფარგლებში, ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ. აღნიშნული ნებართვა არის განცხადების ფორმით. განაცხადში მშობლები ადასტურებენ თანხმობას, როგორც ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, ასევე ფოტო/ვიდეო გადაღებაზე. ფორმაში მითითებულია: ბავშვის სახელი/გვარი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი; თარიღი; ხელმოწერა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში გარემო პროგნოზირებადია ბავშვისთვის, რაც დასტურდება შენობაში და ჯგუფებში არსებული ვიზუალური მინიშნებებით. ჯგუფურ ოთახებში აქვთ წარმოდგენილი დღის განრიგის შემადგენელი ნაწილების ილუსტრაციები. კურიკულუმის ექსპერტის აღმზრდელებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ პროცესში ბავშვებს აცნობენ დაგეგმილ აქტივობებს და დღის გეგმას.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებამ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და მზადაა გამოიყენოს ის პროცესში. წარმოდგენილია შეხვედრის ოქმი N7 (24/10/2025) ბავშვის უფლებების გაცნობასთან დაკავშირებით. ბალის მენეჯერის მოდერატორობით დასაქმებულ პერსონალთან და მშობლებთან საუბრისა და მოხსენების რეჟიმში ისაუბრეს ბავშვთა უფლებებზე. ოქმი დასტურდება პერსონალისა და მშობლების ხელმოწერებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ 11/02/2026, ბრძანებით N.ბ.58. 52260422. დოკუმენტში გაწერილია პროცედურები და თან ერთვის:

- დანართი N1 “ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის შაბლონი“;
- დანართი N2 შეტყობინების ფორმის შაბლონი.

სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მეთოდისტი რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირად. აღნიშნული განსაზღვრულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით - (N27 03.01.2018).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელ-პედაგოგთან ინტერვიუთი დასტურდება გარემოსთან ადაპტაციის პრაქტიკა. მათი განმარტებით, ბავშვთან შესაგუებლად მშობლის ჩართულობით ხდება ბავშვის ბავშვში პირველად მოყვანა და შემდგომ, საჭიროებიდან გამომდინარე, დროის გახანგრძლივება. გარდა ამისა, მენეჯერთან გასაუბრებით, ზაფხულის პერიოდში აორგანოზებენ ღია კარის დღეს და სტუმრობენ დაწესებულებას, რაც მომდევნო ეტაპზე უადვილებს მათ ადაპტაციას. რაც შეეხება შიდა ტრანზიციებს, ბავშვს აქვს შემუშავებული გარკვეული ფრაზები, რაც მათ ახსენებს აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის დროს. ასევე იყინებენ, მუსიკალურ მნიშვნელებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ აღნიშნული პრაქტიკა გაწეროს და შეიმუშავოს სტრუქტურირებული ადაპტაციისა და შიდა ტრანზიციების ერთიანი მიდგომა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელებთან ინტერვიუს საფუძველზე, გამოირკვა, რომ შემუშავებული აქვთ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ფორმა, რ საუბრობენ ღიად, სხვა პირის თანდასწრებით ბავშვისა და ოჯახის შესახებ. აღნიშნული საკითხი რომ სენსიტიური და მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში დასაქმებულებს გააზრებული აქვთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (11/02/2026, ბრძანებით N.ბ.58. 522604220);
2. რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება - N27 03.01.2018;
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი (N ბ58. 52260405 – 09/02/2026)
4. შეხვედრის ოქმი N7 (24/10/2025) ბავშვის უფლებების გაცნობასთან დაკავშირებით.
5. ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის ნებართვის ფორმა;
6. შესაბამისობის გეგმა - საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება;
7. ვიზუალური დათვალირება;
8. ინტერვიუ აღზრდელთან, დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების წარმომადგენელთან;
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა - თარიღი: 04.06.2026

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის დადგენილება N17. დოკუმენტში ასახულია 2024 წლის ფაქტობრივი მონაცემი, 2025 წლის გეგმა და 2026 წლის პროექტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის ბიუჯეტი, სადაც მითითებულია სხვადასხვა ტიპის დაგეგმილი და დაუგეგმავი ხარჯები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, გაერთიანების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში განსაზღვრული იყოს კონკრეტული ბაღი, რომელსაც მიემართება აღნიშნული თანხების განკარგვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ადასტურებს დაფინანსების წყაროს, სადაც წარმოდგენილ ბიუჯეტში გამოყოფილია სამეურნეო და საკანცელარიო მიმართულებები.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტატუსის მამიებელს ცალკე ბიუჯეტი არ აქვს (აქვს მხოლოდ წარმოდგენილი გაერთიანების საერთო ბიუჯეტი) და შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყოფილი რესურსი კონკრეტული ბაღისთვის ბუნდოვანია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ საერთო ბიუჯეტთან ერთად, შეიმუშაოს კონკრეტული დაწესებულებისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრული იქნება კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია ფაქტობრივი მონაცემი, გეგმა და პროექტი. შემუშავებულია დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა, რადგან პროცესები მიმდინარებს რამდენიმე რგოლის დახმარებით. მუნიციპალიტეტი, ბაღების გაერთიანება და თავად დაწესებულება. ვიზიტისას რაიმე ფინანსური რესურსების მართვის დოკუმენტი არ წამოდიოდა, თუმცა ვიხილეთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N17 განკარგულება ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით. დოკუმენტს თან ერთვის 2026 წლის გაერთიანების ბიუჯეტის პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N17;
2. გაერთიანების 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი;
3. ინტერვიუ გაერთიანების დირექტორთან.

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი



1. სავალდებულო დანართის დასახელება	
ვიზიტის დღის წესრიგი	
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
1	
2	
3	

თარიღი 08/06/2026

ხელმოწერი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ხარისხის ექსპერტი

სახელი გვარი
ნინო ავსაჯანიშვილი

ხელმოწერა
ნ. ავსაჯანიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
კურიკულუმის ექსპერტი:

სოფიო გოცირიძე

ს. გოცირიძე

კვების დარგში ექსპერტი:

თამარ ჭონიშვილი

თ. ჭონიშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

ზაია აბაშიძე

ზ. აბაშიძე

4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი N1

საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ საგარეულის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): საგარეულის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.	ხარისხის N: ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მქონეობა - ა(ა)იპ საგარეულის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებათა ვიზიტის შესახებ, 2026 წლის 12 მარტის ბრძანება N301587, 2026 წლის 20 მარტის დეკლარაცია (MES 6.26 0000336335)
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: საგარეულის მუნიციპალიტეტი, ქ. საგარეულო, რუსთაველის ქ. N 93 (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ვიზიტის თარიღი: 1-2 აპრილი, 2026 წელი

კრიტერიუმები 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ზავებითა რაოდენობას

N	ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	წაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სადღმრადიო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ზავებითა რაოდენობის გათვალისწინებით					1. ამინაწერი საჯარო რესტრიდან (2019 წლის) 2. შენობა - ნაგებობის სქემა 3. ვიზუალური დათვალიერება 4. შესაბამისობის გეგმა 5. ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და დაწესებულების მენეჯერთან 6. ზავებითა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შედეგად დადგენილი. 7. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (კოორდინირდება N669505 - 04.06.2026)
2	დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3	დაწესებულებას შეუძლია აქვს ზავებითა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს					

შესაბამისობის კითხვარი

N	შეფასების ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	წაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა	რეკომენდაცია	რჩევა	აგრემენტირებული პოზიციის გაზიარება
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სადღმრადიო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ზავებითა რაოდენობის გათვალისწინებით:								
